



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლუხუნის დარიშხანის საბადო

ლუხუნის (ლუხუმის) დარიშხანის საბადო, მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდ. მადნისელის (მდ. ლუხუნის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. საბადო დაკავშირებულია ზედაიურულ-ქვედაცარცული ფლიშის ზედა კარბონატულ წყებასთან. წყების სამხრ. პერიფერიაზეა შეცოცების ტიპის რღვევა, რ-ის ფარგლებშიც ლოკალიზებულია მადნიანი სხეული. ძირითადი მადნეული მინერალებია რეალგარი და აურიპიგმენტი. საბადო მიეკუთვნება ჰიდროთერმულ ტიპს; წარმოშობილია დაბალ და ნაწილობრივ საშ. ტემპ-რაზე, ძირითადად გვერდითი ქანების მეტასომატური შეცვლის შედეგად და უკავშირდება კაინოზოური ასაკის მაგმატიზმს. ლ. დ. ს-ს ბაზაზე სოფ. ურავში XX ს. 90-იან წლებამდე მუშაობდა რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატი.

ე. კახაძე